„ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის“ მიერ 2017 წლის 4 მაისს, ქალაქ ზუგდიდში, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციაში გამართული შეხვედრის შესახებ წინასწარ მედიისთვისაც არ იყო ცნობილი, როგორც ამას ადგილობრივი ონლაინგამოცემა "ლაივპრესი" წერდა. მედიამ ამის შესახებ შეხვედრის დასრულების შემდეგ, სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარის „ფეისბუქ“ გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან შეიტყო. აღნიშნულ შეხვედრას, ასევე ესწრებოდა #67 ოლქის მაჟორიტარის, მერაბ ქვარაიას ბიუროს თანამშრომელი, რომელიც ამავე გამოცემასთან საუბარში აღნიშნავს, რომ შეხვედრისას საუბარი არ ყოფილა ქალაქ ზუგდიდის სტატუსზე [თვითმმართველი]. გარდა, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლისა, ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის დავით მელუას განმარტებით ასოციაციის სამუშაო შეხვედრა იყო, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარდა, რასაც მან ასოციაციის წევრ მუნიციპალიტეტს შორის გამართული თათბირი უწოდა. იმ შეხვედრის შესახებ, რომელიც სამთავრობო კომისიამ მოსახლეობასთან გამართულ კონსულტაციად მიიჩნია დავით მელუა ასე განმარტავდა: „ამიტომ, ჩვენ არ გვითქვამს, რომ ეს არის საჯარო შეხვედრა და არ მოგვიწვევია პრესა. აქ ასევე იყო მერაბ ქვარაია, რომელიც არის სამინისტროს სამუშაო ჯგუფის წევრი. ეს საჯარო შეხვედრა არ ყოფილა. ამიტომაც პრესაშიც არ დაგვიანონსებია“. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიზნებისათვის „ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის“ მიერ გამართული შეხვედრის ოქმები, არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კონსულტაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.